

ინტერვიუ ევროკავშირის სამართლებრივ ბ-6 ლადისლავ ჰამრანთან

სად დგას ევროკავშირის სამართალი, ზოგადად, და „ევროჯასტი“, როგორც სამართალდამცავი ინსტიტუტი, კონტინენტურ ევროპაში ეკონომიკური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური საკითხების განვითარების პროცესში საერთო ევროპული დემოკრატიული დღის წესრიგის ფორმირების გზაზე? რა ახალი გამოწვევების პროგნოზირება შეიძლება?

ეს კითხვები ევროკავშირის, როგორც პროექტის, არსს ეხება და გვაბრუნებს იმ დროში, როცა მას საფუძველი ჩაეყარა. რობერტ შუმანი იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1950 წელს. მის ცნობილ „შუმანის დეკლარაციაში“ ნათქვამია: „ევროპა არ შეიქმნება ერთბაშად ან ერთი გეგმის საფუძველზე: ის ჩამოყალიბდება კონკრეტული ზომების გატარებით, რაც ხელს შეუწყობს ფაქტობრივ სოლიდარობას“. სწორედ ეს მოხდა მრავალი ათწლეულის განმავლობაში, როცა ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა და ევროკავშირის კანონმდებლებმა შექმნეს უფრო მჭიდრო კავშირი. ვინ იფიქრებდა 70 წლის წინ, მაგალითად, რომ ევროკავშირის გარეთ ქვეყნებთან ვაჭრობა ევროკავშირის ექსკლუზიური კომპეტენცია გახდებოდა? ან რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები თავიანთ ენერგეტიკულ პოლიტიკას ასე მჭიდროდ გაუწევდნენ კოორდინაციას?

ევროკავშირის კანონმდებლობას ჰქონდა ჰარმონიზაციის ეფექტი ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ კი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, მაგალითად, როდესაც მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირის კანონმდებლობის პირდაპირი გამოყენების სასარგებლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში (გადაწყვეტილება Van Gend & Loos-ის საქმეზე, 1963 წელი).

თუმცა, „ევროჯასტის“ შემთხვევაში განსხვავებული სიტუაციაა იმ თვალსაზრისით, რომ სისხლის სამართლის (საპროცესო) სამართალი დიდწილად ეროვნული სუვერენიტეტის ფარგლებში რჩება. მიუხედავად ამისა, პროკურორებსა და მოსამართლეებს შორის აუცილებელია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა თანამედროვე გამოძიების წარმოებისას, რისთვისაც, საბედნიეროდ, ევროკავშირმა შეიმუშავა სამართლებრივი ინსტრუმენტები, როგორცაა „დაპატიმრების ევროპული ორდერი“ (2002 წელი), „გამოძიების ევროპული ბრძანება“ (2014 წელი) და „დაცვა-დაღებისა და კონფისკაციის ბრძანება“ (2018 წელი). „ევროჯასტთან“ და მრავალი პროკურორისა თუ მოსამართლის დაუღალავ შრომასთან ერთად, რომლებიც ჩვენ გვენდობიან, ისინი ქმნიან ევროკავშირში მართლმსაჯულების სფეროში თანამ-

შრომლობის საფუძველს. მომავალზე ფიქრისას უნდა დავრწმუნდეთ, რომ ფებს ვუწყობთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობის გაციფრულებას, რათა არ გაწყდეს კავშირი მოწინავეებსა და ჩამორჩენილებს შორის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელსაც ვხედავ, არის თანამშრომლობის გაფართოება ევროპის გარეთ არსებულ იურისდიქციებთან. წარმატების მისაღწევად ჩვენ დაგვჭირდება როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელების, ისე მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალების დახმარება, მაგრამ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ წარმატებას მივაღწევთ.

ჟურნალ „იუსტიციის“ მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა „ევროჯასტის“ მოკლე ისტორია, როდის და როგორ შეიქმნა ის. რა სირთულეები მოჰყვა მის შექმნასა და განვითარებას? ასევე, თუ შეიძლება, გვიამბეთ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ „ევროჯასტსა“ და დაკავშირებულ ინსტიტუტებს შორის, როგორცაა, ევროპოლი, ევროპის პროკურატურა და ლუქსემბურგში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU).

წინა საუკუნის მიწურულს ჩვენ ყველამ ვიგრძენით მართლმსაჯულების სფეროში უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროება. იმ დროს პროკურორებმა ხშირად არ იცოდნენ, სად უნდა გაეგზავნათ სასამართლო დავალებები, და იმაშიც კი იყვნენ დარწმუნებულნი, რომ პასუხს მალე ვერ მიიღებდნენ. ან არ მიიღებდნენ საერთოდ. თუმცა, გარდამტეხი მომენტი დადგა მაშინ, როდესაც 1999 წლის ოქტომბერში ევროპული საბჭო ტამპერეში (ფინეთი) მივიდა დასკვნამდე, რომ მძიმე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა გაძლიერებას საჭიროებდა და ევროკავშირის დონეზე აუცილებელი იყო მართლმსაჯულების სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის უწყების შექმნა. ეს უწყება „ევროჯასტი“ იყო. ის 2002 წლიდან ფუნქციონირებს.

ეს ხედვა მართლმსაჯულების სფეროში უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ რეალობად სწრაფად იქცა. ჩვენი საქმიანობის პირველ წელს და 15 წევრი სახელმწიფოსგან შემდგარ ევროკავშირში „ევროჯასტმა“ 202 საქმე განიხილა. მომდევნო წლებში კი მოხდა მკვეთრი ზრდა – რასაც ასევე ხელი შეუწყო ევროკავშირის შემდგომმა გაფართოებამ – იმ დონემდე, რომ 2017 წელს „ევროჯასტმა“ 5 608 საქმე განიხილა, ხოლო 2022 წელს ეს მაჩვენებელი 11 544-მდე გაიზარდა. ეს იყო 106%-იანი ზრდა მხოლოდ 5 წლის განმავლობაში (2017-2022 წლები).

აქედან გამომდინარე, სამართლიანია იმის თქმა, რომ რაოდენობის თვალსაზრისით ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა, თუმცა ხარისხის თვალსაზრისითაც ჩვენ დიდი გზა გავიარეთ ევროკავშირის უსაფრთხოების კავშირის ჩამოყალიბების მიმართულებით. ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა, „ევროჯასტი“, ევროპოლი, ევროპის პროკურატურა, ევროპული საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტო (Frontex), ევროკავშირის სამართალდამცავთა ტრენინგის სააგენტო (CEPOL),



აგრეთვე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, ევროკავშირის უსაფრთხოების ერთიანი არქიტექტურის ნაწილია. ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენ-ჩვენი მანდატი, ჩვენ შორის კომპლემენტურობის გრძნობა კი მაღალია, როგორც არასოდეს.

თქვენი როლი „ევროჯასტში“ საკმაოდ მნიშვნელოვანი და პატივსაცემია. თუ შეიძლება, გვიამბეთ მეტი თქვენი პროფესიული გამოცდილების შესახებ და იმ ძირითადი შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც „ევროჯასტში“ ხელმძღვანელი პოზიციის დაკავებამ მოგიტანათ?

ადრეული ასაკიდანვე ჩემი ინტერესები ორიენტირებული იყო მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლასა და საზოგადოებისთვის მსახურობაზე. 1997 წელს, მშობლიურ სლოვაკეთში კომენიუსის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, დავიწყე პროკურორად მუშაობა. მალევე ბრატისლავაში, გენერალურ პროკურატურაში, გადავედი, სადაც, ძირითადად, ეკონომიკური დანაშაულებისა და კორუფციის საქმეების გამოძიებასა და დევნაში ვიყავი ჩართული.

აღნიშნულმა გამოცდილებამ კარგი საფუძველი მომცა 2007 წელს „ევროჯასტში“ მუშაობის დასაწყებად სლოვაკეთის ეროვნულ წევრად, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს შემდგომ კარიერულ ზრდაში „ევროჯასტის“ ვიცე-პრეზიდენტის, ხოლო 2017 წლიდან – პრეზიდენტის პოზიციამდე. ჩვენი ორგანიზაციის სათავეში დგომა არის როგორც პასუხისმგებლობა, ასევე პრივილეგია. მაღლიერი ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა, ვიმუშაო კვალიფიციურ კოლეგებთან სხვადასხვა ქვეყნიდან, იქნება ეს სამართლებრივი თანამშრომლობის, ადამიანური რესურსების მართვის სფეროში თუ ჩვენს IT პროექტებში. ისინი „ევროჯასტის“ დნმ-ს წარმოადგენენ და მე მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენ ვქმნით მდიდარ ტრადიციებს.

მაგრამ, რაც მთავარია, მაღლობელი ვარ შესაძლებლობისთვის, გავუძღვე „ევროჯასტს“ მისი წინსვლის გზაზე და ჩემი წვლილი შევიტანო რიგი პრიორიტეტების განხორციელებაში, რომლებიც ჩემი უფლებამოსილების ვადის დასაწყისში განვსაზღვრე: მართლმსაჯულების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაციფრულება, „ევროჯასტის“ თანამშრომლობის ქსელის გაფართოება ევროკავშირის ფარგლებს გარეთ და ჩვენი სამუშაო პროცესების შემდგომი პროფესიონალიზაცია. უკრაინის ომის ფონზე და ამის საპასუხოდ 2022 წელს ევროკავშირის კანონმდებლის მიერ ჩვენთვის მონიჭებული გაფართოებული მანდატის გათვალისწინებით, ახლა ამ სიას კიდევ ერთ პუნქტს დავამატებდი – ევროჯასტის მომზადებას მისი ცენტრალური როლისთვის ძირითად საერთაშორისო დანაშაულებზე მტკიცებულებების შენახვასა და ანალიზში.

საქართველოსთან თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერიდან მე-4 წლის კუთხით, როგორ შეაფასებდით პარტნიორობის ვექტორის განვითარებას? რა არის ძირითადი მიღწევები და გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას არსებული თანამშრომლობა? როგორ ხედავთ არსებული პარტნიორობის შემდგომ გაძლიერებას?

„ევროჯასტსა“ და საქართველოს შორის თანამშრომლობა აღმავალ ტრაექტორიაზე მიმდინარეობს. მაგალითად, 2021 წელს საქართველომ 53 საქმე დაარეგისტრირა, 2022 წელს კი ეს მაჩვენებელი 69-მდე გაიზარდა. რაც მთავარია, ამ ციფრების ფარგლებში საქართველოს მიერ ინიცირებული და მის საკუთრებაში არსებული საქმეების წილიც ცალსახად იზრდება. ეს მიუთითებს ქართველი პროკურორების სურვილზე, უფრო მეტად იმუშაონ თავიანთ კოლეგებთან ევროკავშირში, და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება.

2020 წელს მისი ჩამოსვლის დღიდან „ევროჯასტში“ საქართველოს წარმომადგენელმა მეკავშირე პროკურორმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენს თანამშრომლობაში. მადლობელი ვართ, რომ ჩვენთან მუშაობს ისეთი გამოცდილი პროფესიონალი, როგორცაა, გიორგი გოგაძე, და მინდა მაღალი შეფასება მივცე მის საქმიანობას. იმისათვის, რომ გავზარდოთ ჩვენი ერთობლივი საქმეების რაოდენობა, მინდა, მოვუწოდო ყველა პროკურორს საქართველოში, ადრეულ ეტაპზე გაითვალისწინონ მათ მიერ წარმოებული გამოძიების შესაძლო საერთაშორისო ასპექტი. „ევროჯასტთან“ დაკავშირება ადვილია თქვენი მეკავშირე პროკურორის მეშვეობით, ჩვენ კი მზად ვართ, დაგეხმაროთ. წარსულში ჩვენ ერთად ვიმუშავეთ ისეთი რეზონანსული დანაშაულების გახსნაზე, როგორცაა, საინვესტიციო თაღლითობა და ინტერნეტთაღლითობა, და მოუთმენლად ველი ახალ მიღწევებს.

საქართველო მოწადინებულია, შეასრულოს „ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით“ ნაკისრი ვალდებულებები. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება საქართველოსა და „ევროჯასტს“ შორის მჭიდრო თანამშრომლობამ ხელი შეუწყოს, ერთი მხრივ, ევროკავშირთან პარტნიორობის გაძლიერებას, ხოლო, მეორე მხრივ, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოპოვებისა და მომავალში გაწევრიანების პროცესის წინსვლას?

2022 წლის ივნისში ევროკავშირის საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რომ საქართველოს შესთავაზოს ევროპული პერსპექტივა, მიგვაჩნია, რომ „ევროჯასტთან“ უფრო ხშირი თანამშრომლობა საქართველოს ბევრ სარგებელს მოუტანს.

მოგეხსენებათ, ევროკომისიამ განსაზღვრა მთელი რიგი პრიორიტეტები, რომელთა მიმართებითაც, მისი აზრით, საქართველომ უნდა მიაღწიოს შემდგომ პროგრესს. ერთ-ერთი მათგანი კანონის უზენაესობის განმტკიცებას ეხება და კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას მოიცავს. ეს დანაშაულები არ წარმოადგენს სისხლის სამართლის ცალკე დანაშაულებს. ისინი, როგორც წესი, საერთაშორისო დანაშაულებრივი ქსელების შემადგენელი ნაწილია. ამ დანაშაულებთან ბრძოლის გასაძლიერებლად და, შესაბამისად, საზოგადოებაზე მათი ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად საქართველოში, „ევროჯასტი“ არა მხოლოდ შეიძლება გახდეს კარიბჭე იმ იურ-



ისდიქციებისკენ, რომლებთანაც დაგჭირდებათ მუშაობა, არამედ ოპერატიულად დაგეხმაროთ გამოძიების წარმოებაში და დევნის მომზადებაში.

ყველა საქმეს, ყველა შეხვედრას და ყველა ერთობლივ საგამომძიებო ჯგუფს აქვს მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია ამ ძალისხმევის დოკუმენტირება და ევროკომისიისთვის დამაჯერებლად იმის ჩვენება, თუ როგორ აძლიერებს საქართველო საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად მძიმე ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლას. უფრო მჭიდრო თანამშრომლობას შედეგად მოჰყვება მეტი აქტივის დაბრუნება და მეტი დამნაშავის პასუხისმგებლობაში მიცემა. ეს ინფორმაცია კი უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ევროკავშირისთვის საქართველოსთან ურთიერთობის შემდგომი განსაზღვრისთვის.

რას ეტყვიტ ჩვენს მკითხველს საქართველოს იუსტიციის მინისტრთან, რატი ბრეგაძესთან შეხვედრის შესახებ? შეგიძლიათ გვიამბოთ სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტული გეგმების შესახებ? გთხოვთ, მოგვიყვით დაწვრილებით ევროკავშირის წევრი ქვეყნების მართლმსაჯულების სისტემების თავისებურებების შესახებ. ეს კითხვა აქტუალურია, ვინაიდან ევროკავშირის წევრი ქვეყნების რეტროსპექტივა ჩვენთვის ჯერ კიდევ პერსპექტივაა.

დიდი სიამოვნებით შევხვდი მინისტრ ბრეგაძეს 2022 წლის სექტემბერში, როცა თბილისში ვიმყოფებოდი პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის (IAP) ყოველწლიურ კონფერენციაზე დასასწრებად. ეს იყო ჩვენი თანამშრომლობის მიმოხილვის შესანიშნავი შესაძლებლობა და მე ვგრძნობ, რომ ბატონი ბრეგაძის მდიდარი პოლიტიკური და იურიდიული გამოცდილება შეიძლება იყოს ძლიერი აქტივი, რომელიც დაეხმარება საქართველოს წინსვლას ევროინტეგრაციის გზაზე.

როდესაც საქმე ეხება თანამშრომლობას მართლმსაჯულების სფეროში, ეს ნიშნავს კანონის უზენაესობის სრული დაცვით მუშაობას, რასაც ჩვენ მნიშვნელოვნად მივიჩნევთ ევროკავშირში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ უდარდელ სამყაროში, არამედ ეს ნიშნავს, რომ პროკურორებს აქვთ უფლებამოსილება და მექანიზმები, რომ დამოუკიდებლად გამოიძიონ დანაშაული და საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ სისხლისსამართლებრივი დევნა. აღნიშნული თანამშრომლობა დროდადრო რთულ სიტუაციებს ასაჯაროებს, მაგრამ ეს კარგია, რადგან, საბოლოო ჯამში, ის ემსახურება ჩვენი საზოგადოებების ჯანმრთელობასა და გამძლეობას. საქართველომ ნათლად აჩვენა, რომ ამ მიმართულებით უნდა სვლა, ხოლო „ევროჯასტი“ მზადაა ყველაფერში დაგეხმაროთ შეძლებისდაგვარად.